ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 იანვრის N50/3 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს” ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის სხდომის
ოქმი N 5

2021 წლის 30 მარტი

9 აპრილის ქუჩა #15

დაბა ხარაგაული

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზი ფხალაძე აკაკი ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძ, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ვლადიმერ ტალახაძე, , ნიკოლოზ მაღრაძე, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, აკაკი მაჭავარიანი, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი

სულ საკრებულოს 24 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

კახაბერ გოლუბიანი -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

პეტრე შარიქაძე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე -ა.ა.ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

თ. გოგოლაძე -გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს ჟურნალისტი.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განხაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 იანვრის N50/3 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 24 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

(თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა მან აღნიშნა, კარგია, რომ თავიდანვე იგეგმაბა პროექტები, რაც უნდა გაკეთდეს, მაგრამ მე მაინტერესებს იმ პროექტების ბედი, რომლებიც უნდა გაკეტებულიყო და დღემდე ვერ გადაწყდა მაგ. წყლის სისტემა სოფელ თეთრაწყაროში, იგორეთში .

ვ. ჭიპაშვილმა განმარტა, რომ იყო პრობლემები, შევისწავლით, ზოგიერთი პროექტი იყო გარდამავალ, დავინტერესდებით.

მ. ჭიპაშვილმა პროექტების შესრულებისათვის კარგი იქნება თუ ადგილობრივი კარიერები იქნება გამოყოფილი.

ვ. ჭიპაშვილმა განმარტა, რომ მუშაობენ ამ საკითხებზე და ვფიქრობთ, რომ ნაწილობრივ მაინც მივაღწევთ დადებით პსუხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 24 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განხაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 24 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 იანვრის N50/3 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსისაგან ვერ მოისმინა დამაჯერებელი არგუმენტები ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის გასაზრდელად და იგი კენჭის ყრაში არ მიიღებს მონაწილეობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მ. ჭიპაშვილმა, რომელიც დაინტერესდა რომელი წლის სტიქიის თანხა იყო გამოყოფილი, რა დავხარჯეთ და რა ვერ გავხარჯეთ.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა წინა წლების თანხა იყო დაუხარჯავი, გარკვეული პრობლემები მერიაში იყო მაგრამ ახლა არ გამოვასწოროთ?

თ. ავალიშვილმა სოფელ დიდვაკეში ხიდია აღსადგენი სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანები ვერ ადიან.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ადგილი სადაც ხიდია ჩემდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ არის კერძო პირის საკუთრება, რომელიც წინააღმდეგია იქ ხიდის აგების, გავერკვევით და მოგაწვდით ინფორმაციას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 24 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ზარბაქაძე